განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო-მერი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს, რაც პრაქტიკაში წარმოშობს პასუხისმგებლობის გადანაწილებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით მუნიციპალიტეტებში იქმნება მუნიციპალიტეტის მმართველი საბჭო, რომელიც არის კოლეგიური აღმასრულებელი ორგანო.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია მუნიციპალიტეტებში მმართველი საბჭოს არსებობა და მისთვის აღმასრულებელი საქმიანობის სფეროში უფლებამოსილებათა ფართო სპექტრის მინიჭება, რაც ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გადანაწილებას და გახდის გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო გამჭვირვალეს, რაც მუნიციპალიტეტის ორგანოების ეფექტიანი მუშაობის და მოსახელობის ნდობის ამაღლების აუცილებელი წინაპირობაა. ამათან, ვინაიდან მმართველი საბჭო არის კოლეგიური აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, აღნიშნულმა გამოიწვია მერიის ახლებურად განმარტების აუცილებლობა. პროექტის თანახმად, მერია წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოების სისტემას, ნაცვლად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებისა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კოდექსს ემატება 56[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მმართველი საბჭოს ფუნქციებს, შემადგენლობას და საქმიანობის წესს. მუნიციპალიტეტის მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შევლენ მერი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ხოლო საბჭოს მთავარი მიზანი იქნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულება და გადაწყვეტილებების მიღებისას პასუხისმგებლობის გადანაწილება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მმართველი საბჭოს არსებობამ განაპირობა ცვლილება კოდექსის 48-ე მუხლში, რომლითაც დამკვიდრდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის ცნება, გამომდინარე იქიდან, რომ მერი აღარ იქნება ერთადერთი აღმასრულებელი ორგანო მინიციპალიტეტში. ამასთან, პროექტის შესაბამისად, 50-ე მუხლი განმარტავს მუნიციპალიტეტის მერიის ცნებას და ადგენს, რომ მუნიციპალიტეტის მერია (მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის მმართველი საბჭო, მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები) არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას.

იმის გათვალსიწინებით, რომ მუნიციპალიტეტის მმართველი საბჭო აღიჭურვა იმ აღმასრულებელი ფუნქციებით, რომლებსაც მერი ახორციელებდა ერთპიროვნულად, მიზანშეწონილი გახდა ცვლილების განხორციელება კოდექსის 54-ე მუხლში და მერის უფლებამოსილებათა ხელახლა ჩამოყალიბება. შედეგად, მერის უფლებამოსილებები ძირითადად მოიცავს მერიის საქმიანობის ხელმძღვანელობას და კოორდინაციას და ამ სფეროში შესაბამის უფლებამოსილებათა განხორციელებას. გარდა ამისა, მერი, როგორც აღმასრულებელი ორგანო და უმაღლესი თანამდებობის პირი, მმართველი საბჭოსგან დამოუკიდებლად ახორციელებს ისეთ უფლებამოსილებებს, როგორიცაა საკრებულოსთვის საანგარიშო წლის ბიუჯეტის

შესრულების ანგარიშისა და მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმის დასამტკიცებლად წარდგენა; კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; კოდექსით და საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვის შემთხვევაში - ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე კონტროლი და ა.შ.

ამასთან, პროექტის თანახმად, კოდექსს ემატება 56[2] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მმართველი საბჭოს უფლებამოსილებებს ორგანიზაციული საქმიანობის, საკრებულოსთან ურთიერთობის, საფინანსო-საბიუჯეტო, ქონების მართვისა და განკარგვის და აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მმართველი საბჭო მონაწილეობს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელთა მიმართაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და მათი მიღების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა სწორედ პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით არის შესაძლებელი. პროექტის თანახმად, მმართველი საბჭოს უფლებამოსილებად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტების შეიმუშავება; დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებისა და გაუქმების შესახებ დადგენილებების პროექტების საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა; კოდექსით და საკრებულოს მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; საკრებულოს თანხმობით შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხის გადაწყვეტა საკრებულოს თანხმობით; მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადება, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და განხორციელება; მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და ა.შ.

პროექტის თანახმად, ცვლილება ხორციელდება კოდექსის 57-ე მუხლში და დეტალურად გაიწერება მერის პირველი მოადგილისა და მოადგილეების დანიშვნის წესი. პროექტის თანახმად მერის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს საკრებულოს თანხმობით თანამდებობებზე დანიშნავს მერი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილება ხორციელდება კოდექსის მე-60 მუხლში და დადგინდება თუ რა მიზნით იქმნება მერიის სტრუქტურული ერთეულები. ამასთან განისაზღვრება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების დანიშვნაზე უფლებამოსილი პირი და მათი დანიშვნის წესი.

იმის გათვალსიწინებით, რომ მმართველი საბჭო, როგორც აღმასრულებელი ორგანო, უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, პროექტის თანახმად, კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომელშიც მოცემულია მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, ემატება მუნიციპალიტეტის მმართველი საბჭოს განკარგულება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

პარლამენტის წევრები გრიგოლ ლილუაშვილი და პაატა მხეიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

პარლამენტის წევრები გრიგოლ ლილუაშვილი და პაატა მხეიძე